26/04/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება დიდ ხუთშაბათს (25.04.2019)

ჩვენთან არს ღმერთი!

ყველას გილოცავთ წმინდა ზიარების მიღებას. დღეს განსაკუთრებული დღეა. ის დღე, მაცხოვარმა რომ აზიარა მოციქულები და მათ შორის იუდა ისკარიოტელიც. წმინდა მამები ამბობენ, რომ იუდას ზიარების შემდეგ მადლობა რომ შეეწირა მაცხოვრისათვის წმინდა ზიარების მიღებისათვის, ის ვეღარ გასცემდა, ეშმაკი ვერ შევიდოდა მასში.

საერთოდ, ლოცვისას ჩვენ უფრო ვთხოულობთ. არსებობს თხოვნითი კვერექსი, ეს არის მწუხრზე, ცისკარზე და წირვაზე, მაგრამ ჩვენ გვავიწყდება მადლობის თქმა. მადლობა უნდა შევწიროთ უფალს მისი დიდი წყალობისათვის. აი დღეს, როცა ჩვენ ვეზიარეთ წმინდათა საიდუმლოთა, ჩვენ მადლობას ვწირავთ უფალს და მოისმინეთ ყურადღებით მადლობის ლოცვა და შევთხოვ ღმერთს ზიარება წმინდათა საიდუმლოთა ყოფილიყოს ჩვენთვის, თქვენთვის საკურნებელად სულისა და ხორცისა.

ჩვენთან არს ღმერთი!

შეგახსენებთ რომ დღეს, 19:00 საათზე, აქ წმინდა სამების ტაძარში, იქნება წაკითხული 12 სახარება.

წმინდა გარდამოხსნის გამოსვენება დაიწყება 14:00 საათიდან პარასკევს და ღამისთევა დაიწყება შაბათს 23:00 საათზე სამების ტაძარში.

ღმერთმა დაგლოცოთ და მრავალს დაესწარით ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს. ჩვენთან არს ღმერთი!

— patriarchate.ge